ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მასპინძლობით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში "მეწარმეობის დღე" ჩატარდა

სტუ-ს ინოვაციების ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 25 დეკემბერს, ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ პროგრამის **„შემოქმედებითი ნაპერწკალი:** სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ მე-2 წლის პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეორედ, **„სტუ-ს მეწარმეობის დღე“ ჩატარდა.**



ღონისძიებას, პროექტის პარტნიორი ფაკულტეტის სტატუსით, **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტმა** უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა სტუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს. ერთდღიანი ტრენინგ პროგრამა ითვალისწინებდა სამოტივაციო და სასესიო გამოსვლებს, ჯგუფურ სამუშაოებს და პრეზენტაციებს. დღის ბოლოს სტუდენტებმა, სპეციალურად ამ დღისთვის დაკომპლექტებული ჟიურის წინაშე, პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს „კანვასის“ ბიზნეს მოდელში დამუშავებული ბიზნეს იდეები, რომელზეც დღის განმავლობაში იმუშავეს.

ჯამში წარმოდგენილი იყო ცხრა ბიზნეს იდეა, რომეთაგანაც ჟიურის გადაწყვეტილებით ხუთს მიეცა რეკომენდაცია **„სტუ-ს დიდი იდეების კონკურსში“** მონაწილეობისათვის, რომელიც ასევე პროექტი „შემოქმედებითი ნაპერწკალის“ ფარგლებში 2020 წლის გაზაფხულზე ჩატარდება და ის ოფიციალურად უკვე დაანონსდა (დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული კონკურსის შესახებ იხილეთ სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე). დღის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

შეგახსენებთ, რომ პროექტი **„შემოქმედებითი ნაპერწკალი:** სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ ხორციელდება კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით და ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის მიერ და ის კოორდინაციაშია სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტთან. პროექტის მთავარი პარტნიორები არიან სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი და სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა. პროექტს ორგანიზებას უკეთებს სტუ-ს ინოვაციების ცენტრი.